ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

ბრძანება:**ბ68. 682424314**

თარიღი:**30/08/2024**

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 – 2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

**საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის № 385 ბრძანების მე - 4 დანართის მე - 4 პუნქტის საფუძველზე**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა თანდართული დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის პროგრამების /ქვეპროგრამების მიზნები, აღწერა, საშუალოვადიანი და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები.

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 -2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა გამოქვეყნდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 180-ე მუხლით დადგენილი წესით, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი:ქ.ზესტაფონი,წერეთლის ქ. N7)

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი